საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1550 2016 წლის 28 ივლისი ქ. თბილისი

„მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარე „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტის“ (აგარა-ზემო ოსიაურის მონაკვეთი) ფარგლებში საქართველოში სხვადასხვა საავტომობილო გზის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის და დეტალური პროექტების მომზადების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის №960 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „მსოფლიო ბანკის დაფინანსებით მიმდინარე „აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტის“ (აგარა-ზემო ოსიაურის მონაკვეთი) ფარგლებში საქართველოში სხვადასხვა საავტომობილო გზის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის და დეტალური პროექტების მომზადების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის №960 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველ პუნქტში მოცემული ცხრილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საავტომობილო გზის დასახელება	განსახორციელებელი საქმიანობა
თბილისი-საგარეჯო-ბაკურციხე და წნორი-ლაგოდეხი	ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება
თბილისი-საგარეჯო-ბაკურციხე	დეტალური პროექტირება
რუსთავი-წითელი ხიდი და რუსთავი-სადახლო	ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება
რუსთავი-წითელი ხიდი და რუსთავი-სადახლო	დეტალური პროექტირება
ჟინვალი-ლარსი	წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება
ჟინვალი-ლარსი	ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება
ქვეშეთი-კობი	დეტალური პროექტირება
სამტრედია-ზუგდიდის შემოვლითი გზა (ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტთან დამაკავშირებელი გზის გათვალისწინებით)	წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება
სამტრედია-ზუგდიდის შემოვლითი გზა (ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტთან დამაკავშირებელი გზის გათვალისწინებით)	ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება.“.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი